ანოტაცია

გიორგი დათუკიშვილის სამაგისტრო ნაშრომზე ,, საქართველოში მემცენარეობის (მემიმდვრეობის) განვითარების ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი (ივ.ჯავახიშვილის მიხედვით)

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად იმორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს აღწევს, ხოლო დასახელება მოიცავს თითქმის ყველა სახეობას

საქართველოს სამეურნეო ტრადიციები ათასწლეულებს ითვლის. თანამედროვე სოფლის მეურნეობისთვის ძალიზე მნიშვნელოვანია იმ ტრადიციების და გამოცდილების ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინება, რასაც ეფექტურად იყენებდა ქართველი მეურნე. ამგვარი გამოცდილების ყველაზე სრულყოფილი აღწერა მოცემულია ივ.ჯავახიშვილის ნაშრომებში, კერძოდ „საქართველოს ეკონომიკურ იატორიაში“.

სამაგისტრო ნაშრომის **კვლევს მიზნია** საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებების ანალიზი ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ მიხედვით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მნიშვნელობა უკავშირდება საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებების წარმოჩენას ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ მიხედვით, რაც დღემდე არ განხორციელებულა.

ნაშრომის **პრაქტიკული მნიშვნელობა** - ნათელი წარმოდგენის შექმნაა მიწათმოქმედების იმ დარგებზე, რომლებსაც წარმატებით მისდევდნენ ჩვენი წინაპრები. წარსული გამოცდილების გათვალისწინება კი, ჩვენი აზრით, თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია 77 კომპიუტერულ ნაბეჭდ გვერდზე. შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. **პირველ** თავში განხილულია საქართველოს მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი, **მეორე** თავში - საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი, **მესამეში** - მემინდვრეობის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი, და **მეოთხე** თავში - სოფლის მეურნეობის ზონალური სპეციალიზაციის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი. ბოლოს მოცემულია ანალიზის საფუძველზე შემუშავებული დასკვნები. სამაგისტრო ნაშრომიში გამოყენებული ლიტერატურის სია წარმოდგენილია 34 ერთეულით (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე და ინტერნეტ მასალა).